25 000 ₾

საგრანტო პროგრამა

საქართველოს ინოვაციების
და ტექნოლოგიების სააგენტო

რეგიონალური გრანტების გამარჯვებულები



იმერეთი

იმერელო

უნივერსალური გადაწყვეტილების შექმნა "ფრინველთა კონტროლისთვის" მცირე და საშუალო ზომის აგრო მეწარმეებისთვის.

კარდიოსტიმი

ინოვაციური პეისმეიკერის შექმნა რომელიც გაუიოლებს ცხოვრებას ადამიანებს რომელთაც დარღვეული აქვთ გულის რითმი.



გურია

ჩემია

პროექტის მიზანია შეამციროს ხარჯი ელ. კომერციაში და ვაჭრობა გახადოს მეტად მოქნილი, კომფორტული. მომხმარებლების მხრიდან გაზარდოს სანდოობა და შექმნას ღირებულება. შეძენის პროცესი გახდეს სწრაფი და შემცირდეს - "რა შევუკვეთე, რა ჩამოვიდას" - ტენდენცია. აგრეთვე დავასაქმოთ პირველ ეტაპზე 5-მდე ადამიანი, გავზარდოთ სტარტაპ ეკოსისტემა.

GELA

ჩვენი მიზანია მივცეთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმებელ ფერმერებს თუ კომპანიებს საშუალება მოახდინონ საკუთარი პროდუქტის რეალიზაცია პირდაპირ მომხმარებელზე, შუამავლების გარეშე.



აჭარა

აპსქილი

UpSkill მიზანია თანამედროვე ორგანიზაციებსთვის ისეთ ინსტრუმენტის შექმნა, რომლის საშუალებითაც შეეძლებათ თანამშრომელთა კვალიფიკაციის დონის განსაზღვრა, ამაღლება, კარიერული განვითარების დაგეგმვა და სწავლება სამუშაო ადგილიდან მოუწყვეტლად დაბალი სტრესის და მაქსიმალური თავისუფლების პირობებში.

კომპანიონი

პროექტის მიზანია კომპანიებსა და კერძო პირებს შესთავაზოს ახალი, ინოვაციური ხელსაწყო, რომელიც მთლიანად ორიენტირებულია ონლაინ შეხვედრებისა და მათი თანმდევი პროცესების ოპტიმიზაციაზე.

MedTur GEORGIA

ეს არის ონლაინ პორტალი, რომლის საშუალებითაც უცხოელი ტურისტები ეცნობიან, არჩევენ და ჯავშნიან საქართველოში სამედიცინო მომსახურებას.



აჭარა

საბათქაშე ცემენტი

ინოვაციური საბათქაშე ცემენტის
შექმნა, დაპატენტება და დანამატის
მაშტაბური წარმოება.

ბისიეი ჰელს ქლაბი

ჯანსაღი ცხოვრების დანერგვა
ორგანიზაციებსა და კომპანიებში.



აჭარა

ქოსთი

ქოსთის პლატფორმის მიზანია არქიტექტურული, საინჟინრო და სამშენებლო სფეროში არსებული პროექტებისათვის კონტრაქტორების მოძიების, შეფასების და მომსახურების შესყიდვის დღეს არსებული დეცენტრალიზებული, მექანიკური და არაეფექტური პროცესების ცენტრალიზება და გაციფროვნება, რაც საშუალებას მისცემს სამშენებლო პროექტში ჩართულ მხარეებს ეფექტურად დაგეგმონ და განახორციელონ თავიანთი პროექტები.

KARTVELIAN LEGENDS

ინდი მობილური თამაში ქართული მითოლოგიისა და ზღაპრების შესახებ მუშა პროტოტიპის შექმნა.



სამეგრელო

BNOLLAR

სოციალური ქსელი NFT მარკეტფლეისისათვის, რომელიც იქნება დაცული: მომხმარებელს დაიცავს თაღლითობისა და პირადი მონაცემების გასაჯაროვებისგან და ამავდროულად განავითარებს NFT ინდუსტრიას.

Eye2Eye

Eye2Eye აპარატის მასიური წარმოება, რაც სტრაბიზმის ანუ სიელმის და ამბლიოპიის გლობალურ შემცირებას განაპირობებს.



სამეგრელო

სფიქიზი

პროექტის მიზანია მომხმარებლებს მიაწოდოს ინგლისური ენის შესწავლის სწრაფი და ეფექტური გზა ფონეტიკური მსგავსებისა და ინტერაქტიული სავარჯიშოების გამოყენებით.

ArgoFly

ფერმერებს მივცეთ შესაძლებლობა გაზარდონ მოსავლის ხარისხი და რაოდენობა აგრო-დრონების საშუალებით.



სამეგრელო



ჩელა

მიზანია გაამარტივოს აგროპროდუქტების მიწოდების ჯაჭვი, გახადოს პროდუქცია ხელმისაწვდომი და შეამციროს მიწოდების დანახარჯები.

NUTRI GENIUS

პროექტის ზოგადი მიზანია მოსახლეობის საერთო ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესება სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაფუძნებული ზოგადი ნუტრიციოლოგიური პრინციპების გავრცელებითა და პერსონალიზირებული კვების რაციონის შეთავაზებით.



სვანეთი

არქიმარკეტი

პროექტის მიზანია, შეიქმნას ციფრული პლატფორმა, სადაც მოხდება მზა არქიტექტურული პროექტების, ისევე როგორც მათი მორგებისთვის საჭირო სერვისების, ყიდვა-გაყიდვა.

სამაგიდო თამაშები

სამაგიდო თამაშები შეიქმნება ხელოვნური ინტელექტის DALL-E - ის დახმარებით, რომელიც ხელს შეუწყობს სვანური კულტურისა და ტრადიციების შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ამ ყველაფრის საინტერესოდ და სახალისოდ თამაშებში ინტეგრაციას.



შიდა ქართლი

STRIVE

ონლაინ „მარკეტფლეისი“, რომელიც კონკურენტუნარიანი მატჩების მოყვარულ ვიდეო-მოთამაშეებს ეხმარება თამაშის მენტორის პოვნასა და „გეიმფლეის“ გაუმჯობესებაში, ხოლო, მეორეს მხრივ, მენტორებს საკუთარი თამაშის უნარების მონეტიზაციის საშუალებას აძლევს.

DREAMY

აპლიკაცია არის სიზმრების სოციალური ქსელი, რომელიც მომხარებელს მისი სიზმრების ვიზუალიზაციის, ანალიზის, შენახვისა და მეგობრებთან გაზიარების საშუალებას აძლევს. სიზმრების ფსიქოანალიზის შესაქმნელად პლატფორმა იყენებს AI-ს და წარმოქმნის ვიზუალიზაციას ფოტოების ან ნახატების გამოყენებით.



შიდა ქართლი

მასკოტოპია

პროექტი გთავაზობთ ხელოვნურ ინტელექტზე (შემდგომში AI) დაფუძნებული მასკოტების (ანიმაციური პერსონაჟების ფორმები, რომლებიც ღონისძიებებზე აცვიათ ანიმატორებს. მაგ: მიკი მაუსი, კუნინძა და ა.შ) საწარმოს შექმნას.

BAZI

მობილური, ამთვლელი სენსორებით აღჭურვილი აკუსტიკური (ატმოსფეროში ბგერითი ან დარტყმითი ტალღის გამავრცელებელი) სისტემის დამზადება, რომელიც, ხელოვნური ინტელექტის ბაზაზე დამუშავებული მონაცემების საფუძველზე, აგენერირებს სპეციფიკური დიაპაზონის, სიხშირისა და სიგრძის ტალღებს, რომლითაც ხორციელდება უკონტაქტო მანიპულაცია მცენარეების ვეგეტატიურ ორგანოებზე დამტვერვის საუკეთესო ხარისხის უზრუნველსაყოფად, ინფორმაციის საფუძველზე ასევე შესაძლებელია დაავადებებისა და მავნებლების გავრცელების რისკის შეფასება და შეტყობინება, სავარაუდო პროდუქტიულობის პროგნოზირება.

მცხეთა-მთიანეთი

ფიტოტესტერი

მცენარის ბიოელექტრული სიგნალების პორტატული/ჯიბის ტესტერისა და ამ სიგნალების საზომ-გადამცემი სმარტფონთან მისაერთებელი ადაპტორის შექმნა.

LIFECRAFT ACADEMY

უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ ონლაინ სასწავლო პლატფორმა; ეს არის პიროვნული და პროფესიული ზრდის კატალიზატორი ყველა ადამიანისთვის.



სამცხე-ჯავახეთი

MOUSE FOR TOUNGE

პროდუქტი შექმნილია შშმ პირებისთვის და შედგება ისეთი ელექტრონული კომპონენტებისგან, რომლებიც საშუალებას აძლევს ადამიანებს ენით უზრუნველყონ კურსორის მოძრაობა და აკონტროლონ ციფრული ინტერფეისები.

ანათე

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შეიქმნას ჭკვიანი სანათი, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება ბავშვებისთვის ზღაპრების მოყოლა. ზღაპრების ყუთი დადებით გავლენას მოახდენს ბავშვების განვითარებაზე, მათ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე და შეამცირებს გაჯეტებზე დამოკიდებულებას.

ქვემო ქართლი

ექზედერმი

ინოვაციური საგანმანათლებლო პლატფორმა, რომელიც დაეხმარება აბიტურიენტებს ეფექტურად და სწრაფად მოემზადონ გამოცდებისთვის.

DIALOGY

აპლიკაცია დაეხმარება ორ დაპირისპირებულ ან კონფლიქტში მყოფ ადამიანს კომუნიკაციაში და გუნდის მიერ შექმნილი language modeling-ის დახმარებით უკეთესად შეძლებენ ერთმანეთთან კომუნიკაციას.

ქვემო ქართლი

BASE2

მობაილ puzzle game, რომელიც პროგრამირებით დაინტერესებული პირებისთვის ქმნის სიმულაციურ გარემოს, რათა მიხვდნენ ნამდვილად სურთ თუ არა პროგრამირების სწავლა. პროექტის მიზანია თამაშის MVP ვერსიიდან სრულ ვერსიაზე გადაყვანა.

CREATMEDIA

პროექტის მიზანია, გააციფრულოს მედია ინდუსტრიაში საჭირო ყველა რესურსის მოძიების პროცესი - ერთი ფანჯრის პრინციპის მქონე პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შემოქმედებითი ინდუსტრიებისა და ბიზნესის კრეატიული კონტენტისთვის საჭირო ადამიანური და ტექნიკური რესურსების რეკრუტინგს.

კახეთი

სმარტფერმერი

პროექტი „ჭკვიანი ფერმერი“ გულისხმობს მოწინავე ტექნოლოგიებისა და მონაცემების საფუძველზე სოფლის მეურნეობის გადაწყვეტილებების გამოყენებას პროდუქტიულობის, ეფექტურობისა და მდგრადობის გასაზრდელად.

აგრიოლი

პროექტის მიზანია ინოვაციური აგრო პლატფორმის შექმნა, რომელიც ერთ სივრცეში აგრო სფეროში მომუშავე მეწარმეებს/ფერმერებს დააკავშირებს დიდ კომპანიებთან/ორგანიზაციებთან.



კახეთი

ჩადი

პროექტი მიზნად ისახავს ქვევრში ღვინის დაყენების ავტომატიზაციას. პროექტის ფარგლებში შექმნილი პირველი პროდუქტი არის უჟანგავი ფოლადისგან დამზადებული კონსტრუქცია "ჩადი", რომელიც მეღვინეს ქვევრში ღვინის დაყენების პროცესს საგრძნობლად უმარტივებს.

რობოტ-ა

პროგრამირების და რობოტიკის შესწავლა რეგიონში მცხოვრები ბავშვებისთვის.



კახეთი

პრომეთე

პროექტის მიზანია, შეიქმნას ხიდი მცირე და საშუალო ბიზნესებსა და გამოცდილ პროფესიონალებს შორის, რათა მათი ერთობლივი მუშაობით შეიქმნას დინამიური და მხარდამჭერი ეკოსისტემა კახეთში, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

ჰელპერი

ციფრული პლატფორმა, რომელიც საშუალებას აძლევს მძღოლებს, აღმოფხვრან მათი ავტომობილების გაუმართაობა, ან უცაბედად წარმოქმნილი პრობლემა.



კახეთი

ეკო სივრცე კახეთში

პროექტის მიზანია კახეთში, სოფელ საბუეში (ყვარელის მუნიციპალიტეტი) ეკოტურიზმის ინოვაციური სერვისების დანერგვა და განვითარება

PELPER

აპლიკაცია ასკანერებს შინაური ცხოველის სხეულს და მიუთითებს შესაძლო დაავადებასა ან პრობლემაზე, შემდგომ კი სთავაზობს პატრონს ლაივ კონსულტაციას რეგიონში მდებარე ვეტერინართან.

საქართველოს ინოვაციების
და ტექნოლოგიების სააგენტო

25 000 ₾

საგრანტო პროგრამა